წელიწადი პირველი.

ცალკე ნომერი 3 კ.

თბილისი, ოთხშაბათი 28 ივნისი 1906 წ.

# ახალი ცხოვრება

თბილისი, ოთხშაბათი 28 ივნისი, 1906 წ.

№ 7. ყოველ დღიური გაზეთი. № 7.

პირველ ივლისიდან მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ გაზეთ

„ახალ ცხოვრებაზე“.

გაზეთი ეღირება:

თფილისში: წლიურათ—5 მ., ექვსი თვით—2 მ. 50 კ., თვიურათ—50 კ.
ქალაქს გარეთ: წლიურათ 6 მან. ექვ'ი თვით 3 მ., თვიურათ—60 კ.

ცალკე ნომერი ყველგან 3 კაპ.

ვინც გაზეთს წლის ბოლომდი გამოიწერს იმას გაზეთი 20 ივნისიდან 1 ივლისამდე უფასოთ დაეთმობა.

რედაქციის ადრესი: სემიონოვის ქუჩა № 4.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „Ахали Цховреба“.

**პეტერბურგის ქუჩებზე დიდებული მანიფესტაციები ხდება.—ჯარი მანიფესტანტებს არ სდევნის.—გლეხთა მოძრაობა და მუშათა გაფიცვები ძლიერდება.—როდიჩევი და ვინავერი მინისტრებს რევოლუციის აჩრდილით აშინებენ.**

## როგორ უნდა დავუჭიროთ მხარი ლიბერალურ ბურჟუაზიას?

**პეტერბურგი.** 23 ივნისი. გუშინ პეტერბურგის სხვა-და-სხვა კუთხეში პოლიტიკური მანიფესტაციები მოხდა, წითელი დროშებით და რევოლიუციური სიმღერებით. „კავალერიის“ პატრულებმა არ გარეკეს მუშები. „ოლიმპიას“ ბაღის ახლო ყაზახ-რუსებსა და მუშებს შეტაკება მოუხდა, რომლის დროს რამდენიმე კაცი დაშავდა. (პეტერბ. სააგენტ.)

სატახტო გაზეთებმა გუშინ მოგვიტანეს ანგარიში პეტერბურგის კომიტეტის მიერ მოწვეული სარაიონთაშორისო კონფერენციისა, რომელზედაც უნდა გადაწყვეტილიყო კითხვები სახელმწიფო სათათბიროსა და პასუხის მგებელი სამინისტროს შესახებ. კონფერენციას წინ უძღოდა დისკუსსიები ფართო პარტიულ მასსაში, რომლის დროს 892 კაცს მიუცია ცენტრალური კომიტეტის (ამხ. მეუმცირესეების) რეზოლიუცია, 1610—პეტერბურგის კომ. (ამხ. მეუმრავლესეების), ხოლო 1431 მუშას ხმა არც ერთი პლატფორმისთვის არ მიუცია და მხოლოთ საკონფერენციო დეპუტატების არჩევნებით დაკმაყოფილებულა. ამ კონფერენციასაც რაკვირველია უარუყვია ცენტრალ. კომ. წინადადება, რომ სათათბიროს წინაშე პასუხის მგებელი სამინისტროს მოთხოვნას პარტიამ მხარი უნდა დაუჭიროსო და დაუმტკიცებია პეტ. კომ. რეზოლუციები სახელმწიფო სათათბიროსა და პასუხის მგებელ სამინისტროს შესახებ.

ამ გვარათ პეტერბურგის პროლეტარიატში დამარცხდა ის ტაქტიკა, რომელსაც ამხ. მეუმცირესენი ადგიან ოპოზიციური ბურჟუაზიის მხარის დაჭერის საკითხში; დამარცხდა ის აგრეთვე მოსკოვში, პოლონეთში, ლიტვაში და ჩრდილოეთ რუსეთის თითქმის ყველა პარტიულ ორგანიზაციაში. მაგრამ ამხ. მეუმცირესეები ცდილობენ ცენ. კომ. რეზოლიუცია თფილისში მაინც გაატარონ: ამიტომ ჩვენის აზრით მეტი არ იქნება რომ ერთხელ კიდევ შევადაროთ ის ორი შეხედულება ამ კითხვაზე, რომელიც ამ ბოლო დროს დაუპირდაპირდა ერთი მეორეს ჩვენ პარტიაში

ამხ. მეუმცირესეები თავის ტაქტიკის დასაბუთებაში იმ მოსაზრებით ხელმძღვანელობენ, რომ დღევანდელ პირობებში ლიბერალური ბურჟუაზია ოპოზიციურია, ის ვერ ურიგდება თვით მპყრობელობას და იბრძვის კონსტიტუციური რეჟიმის დასამყარებლათ. რევოლიუციური პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესები მოითხოვს ისარგებლოს ოპოზიციური ენერგიით, მხარი დაუჭიროს ლიბერალურ ბურჟუაზიას და ამგვარათ რეაქცია გაალცალკევოს; ლიბერალურმა ოპოზიციამ თავის მოქმედების ასპარეზათ უმთავრესათ სათათბირო გაიხადა: „ბურჟუაზია, რომელიც იქ უმეტესობას შეადგენს ითხოვს თავისუფლებას ყველასათვის და მიწას გლეხებისთვის“ სწერდა ამხ. პლეხანოვი: მეუმცირესეების იდეური ხელმძღვანელი, „ამიტომ მთელმა ხალხმა ერთხმათ მხარი უნდა დაუჭიროს სათათბიროს“. (იხ. მისი წერილი მუშებისადმი).

რაში უნდა გამოიხატოს ეს მხარის დაჭერა ამხ. მეუმცირესეების აზრით? სათათბიროს უმრავლესობა ითხოვს ეხლანდელი სამინისტროს გადაყენებას, რომელიც პასუხს აგებს მხოლოთ მეფის წინაშე და ისეთი სამინისტროს შედგენას, რომელიც თვით სათათბიროს უმრავლესობის წინაშე იქნება პასუხისმგებელი. აი, ჩვენი ამხანაგების აზრით, ლიბერალური ბურჟუაზიის ამ კონკრეტულ მოთხოვნას უნდა დაუჭიროს მხარი რევოლიუციურმა პროლეტარიატმა და მისმა პარტიამ; ამ მოთხოვნის განხორციელება მათი აზრით ძირიანათ მოშლის (?) თვითმპყრობელობას და ხელს შეუწყობს დამფუძნებელი კრების მოწვევას (იხ. ლამპ. № 51 მეთაური: „პასუხისმგებელი სამინისტრო“); ესეც არ იყოს „თვით ამ სამინისტროს შედგენა რევოლიუციური აქტია, რევოლიუციური არა თავის თავათ, არამედ თავისი შედეგებით“ (იხ. ლამპ. ამავე ნომერში ამხ. მოშას წერილი). ასეთია მოკლეთ ჩვენი მემარჯვენე ამხანაგების შეხედულება ამ საკითხზე.

როგორ ვუყურებთ ჩვენ ამ საკითხს?

ჩვენ ვამბობთ: მართალია ბურჟუაზიული კლასები ოპოზიციაში უდგანან თვითმპრობელობას, მართალია ისინი ვერ ურიგდებიან და „რამოდენიმეთ“ კიდეც ებრძვიან მას, მაგრამ კითხვა იმაშია, როგორ გამოიხატება ეს ბრძოლა და რა ფასი აქვს მას რევოლიუციის ბედიღბლის გადაწყვეტაში.

ყოველი კლასობრივი ბრძოლა არის ბრძოლა პოლიტიკური. ყოველი კლასი სცდილობს ან სავსებით ხელში ჩაიგდოს პოლიტიკური ბატონობა და სახელმწიფოს მართვა-გამგეობა ან ერთიც და მეორეც სხვა რომელიმე კლასთან ან საზოგადოებრივ ჯგუფთან ერთათ გაიყოს. პოლიტიკური ძალის ხელში ჩაგდების შემდეგ ახლათ გაბატონებული კლასი სცდილობს მოაწყოს საზოგადოება თავის კლასობრივი ინტერესების თანახმათ. საფრანგეთის ბურჟუაზია მეთვრამეტე საუკუნეში პირველ გზას ადგა; თავის თეორეტიკოსის სიესის პირით ის კითხავდა თავს: „რა ვარ მე (მესამე წოდება) დღეს? არაფერი. რათ უნდა გავხდე ხვალ? ყველაფრათ. ამგვარათ ახალგაზდა, რევოლიუციური, ენერგიით და ფართო იმედებით აღფრთოვანებული საფრანგეთის ბურჟუაზია მედგრათ მიიწევდა წინ და მთელი პოლიტიკური ძალის დაპყრობას სცდილობდა. სულ სხვა გზას ადგია რუსეთის ბურჟუაზია?

Zwei Seelen wohnen
Ach! in meinen Brunst;
Eins will von zweiten trennen.

„ორი სული სცხოვრობს ამ ჩემს მკერდში; ერთს უნდა, რომ მეორეს გაეყაროს“. ერთი სული, რომელიც სცხოვრობს ბურჟუაზიის მკერდში, არის შიში თავის მემარცხნე მტრისადმი, შეგნებული სოციალისტური პროლეტარიატის შიში, რომელსაც ვერ იცნობდა საფრანგეთის ბურჟუაზია; მეორე სული სრული პოლიტიკური გაბატონების სურვილია, რომლის განხორციელება შეიძლება მხოლოთ მაშინ, როცა ძირიანფესვიანათ მოისპობა ფეოდალური ნაშთები და მისი პოლიტიკური გამოხატულება—თვითმპყრობელობა. ამ ორი მოპირდაპირე „სულის ბრძოლა“ ბურჟუაზიის ლიბერალურ მკერდში შეადგენს იმ დემოკრატიულ მუხანათობის მიზეზს, რომელიც ახასიათებს რუსეთის ბურჟუაზიას.

ბურჟუაზია იმდენათ არ ებრძვის თვითმპყრობელობას, რამდენათაც ევაჭრება მას. რამდენათაც წინ მიდის რევოლიუცია, რამდენათაც უფრო მაღლა სცემს მისი ტალღები და ეხეთქება თვითმპყრობელობის შერყეულ კედლებს, იმდენათ მეტს ითხოვს ბურჟუაზია ამ ვაჭრობაში ძველ წესწყობილებისაგან. დღესდღეობით ბურჟუაზია იმას კი არ სცდილობს, რომ სრულიად გამოგლიჯოს პოლიტიკური ძალა თვითმპყრობელობას, არამედ იმას, რომ შეეთანხმოს ძველ რეჟიმს და პოლიტიკური ძალა გაიყოს მასთან ერთათ.

სათათბიროს მიერ მოთხოვილი სამინისტროც ამ ვაჭრობის ერთი აქტია. ვინც გაზ. „ლამპარივით“ ფიქრობს, რომ ამ მოთხოვნის განხორციელება ძირიანათ მოშლის თვითმპყრობელობას, იმას ჯერ კიდევ არ დაუხწევია თავი გულუბრყვილო ილიუზიებისათვის. ჩვენ მაღლა ვაფასებთ ამხ. მეუმცირესეების პოლიტიკურ სიმწიფეს და ამიტომ მტკიცეთ გვწამს, რომ უმრავლესობა არ დაეთანხმება „ლამპარის“ მეთაურს.

თვითმპყრობელობა არ არის ჰაერში ჩამოკიდებული პოლიტიკური ფორმა და ის არც იერიქონის საყვირებით დაინგრევა, როგორც კადეტებს ჰგონიათ. მას ფესვები აქვს გამდგარი რუსეთის ეკონომიურ ურთიერთობაში და მისი „ძირის მოსაშლელათ“ კადეტური სამინისტრო ვერ იკმარებს; საჭიროა მოისპოს ბატონყმური ნაშთები სოფელში, საჭიროა მოისპოს მსხვილი ფეოდალური საკუთრება, საჭიროა მთელი მიწა გლეხებს გადაეცეს და ამნაირათ ბურჟუაზიული ქონებრივი ურთიერთობა დამყარდეს; საჭიროა მოისპოს ბიუროკრატია, თვითმპყრობელობის ყურმოჭრილ ჩინოვნიკების მექანიზმი, საჭიროა ბევრი სხვა სოციალურ-პოლიტიკური ცვლილება თვითმპყრობელობის „ძირის მოსაშლელათ“. შესძლებს ამას კადეტური სამინისტრო, რომელსაც ხელში არ აქვს თითქმის არავითარი რეალური ძალა, და რომლის წინაშე იდგომება კამარილა, ფარული, თვალუხილავი, მაგრამ ძლიერი თავისი ჯოჯოხეთური ძალებით?

რუსეთის ბურჟუაზიამ უარჰყო „ნაციონალური გვარდიის“ ლოზუნგი, პროლეტარიატის შიშით მან უკუაგდო ის ძალა, რომლის შემწეობითაც საფრანგეთის და გერმანიის ბურჟუაზია სცდილობდა „მოპოებულ უფლებათა“ გამტკიცებას. ამიტომ რუსეთის ბურჟუაზიას რევოლიუციის სასწორზე მხოლოთ „ოპოზიციური სურვილების“ დადება შეუძლია; მაგრამ ცარიელი სურვილები შესამჩნევათ ვერ გადახრიან სასწორს დემოკრატიულ რესპუბლიკისკენ.

შეგნებულმა პროლეტარიატმა ჩრდილოეთ რუსეთში და პოლონეთში არ დაუჭირა მხარი ლიბერალური ბურჟუაზიის მოთხოვნას. პროლეტარიატი თავს იყრის არა სათათბიროს ბურჟუაზიული ოპოზიციის ლოზუნგების გარშემო, არამედ ქუჩაში თავის რევოლიუციური ლოზუნგებისა და წითელი დროშის ქვეშ. როგორც დღეს ტელეგრაფმა გადმოგვცა, პეტერბურგის პროლეტარიატი ქუჩაზე გამოსულა და ერთხელ კიდევ აშკარათ დაუნახვებია სისხლის მსმელი თვითმპყრობელობისა და მუხანათი ბურჟუაზიისათვის თავისი სიძლიერე. ი როგორ უჭერს მხარს ლიბერალურ ოპოზიციას რევოლიუციური პროლეტარიატი: აშკარა ბრძოლით, ქუჩაში გამოსვლით ის შიშს გვრის თვითმპყრობელობას და ვაჭრული ლიბერალიზმის საქონელს ფასს უმატებს. ის გაიძახის: შემოკრბით რევოლიუციური ლოზუნგების გარშემო, გამოდით ქუჩაში, აქ გაიჭედება ბედი ახალი რუსეთისა!

ზ. ქ.

---

## სადღეისო კითხვები.

### კადეტები და კრების თავისუფლება

სიტყვები გაქრებიან, ხოლო ფაქტები კი დარჩება. ბბ. კადეტებმა, რომლებმაც ურცხვათ მიითვისეს ხალხის თავისუფლების პარტიის სახელი, აურაცხელი სიტყვები დახარჯეს, რომ ისინი მედგრათ დაიცავენ სახელმწიფო დუმაში ხალხის თა-

ვისუფლების საქმეს, რომ ისინი იქნებიან ხალხის ინტერესების ერთათ ერთი ჭეშმარიტი წარმომადგენლები და აი დადგა მათთვის სანატრელი ჟამი, როცა იმათ თავის სიტყვების სიმართლე რამდენიმეთ საქმითაც უნდა დაემტკიცებიათ, და მაშინ-კი ყველასთვის აშკარა შეიქნა, თუ რა თავისუფლების მოტრფიალეები ყოფილან ეს ვაჟბატონები. თავისუფლება მხოლოთ სიტყვით, საქმით-კი ისევ ძველი ოპეკა, ისევ პოლიციის და ადმინისტრაციის ნებართვით, ისევ პრისტავების და გოროდოვოების. გარდა ამისა ბბ. კადეტები ჩვენ ბიუროკრატებს არც ათას გვარ ხრიკების გამოგონებაში ჩამოუვარდებიან, რათა კრების თავისუფლება შებოჭონ სხვა-და-სხვა ადგილას კრების აკრძალვით. როგორც მოსალოდნელი იყო კრების სრული თავისუფლების დამცველებათ „დუმაში“ მხოლოთ ჩვენი ამხანაგები გამოვიდენ, რომელთაც შემდეგ მხარი დაუჭირა ცნობილმა მეცნიერმა კოვალევსკიმ. ჩვენმა ამხანაგებმა კამათის დროს გადაჭრით აღნიშნეს, რომ დუმის ის უმრავლესობა, რომელიც მხარს უჭერს ასეთ მახინჯ თავისუფლების პროექტს, არსებითი თითქმის არაფერით განსხვავდება ძველი მთავრობისაგან. ამხ. ჟორდანიამ პირდაპირ აღიარა, რომ იგი „ამ შემთხვევაში განსხვავებას ვერ ხედავს ამ პროექტსა და იმ შეხედულობას შორის რომელზედაც იდგენ ძველი მთავრობის წარმომადგენლებიო, და ამიტომ ხსენებული პროექტის წინააღმდეგ გორემიკინის სამინისტროსაც არაფერი ექნება და შესაძლებელიცაა, რომ მისი განხორციელება ისევ ძველ სამინისტროს მოუხდესო. ერთი სიტყვით, ახალი პროექტი განზრახულია იმ აზრით, რომ უნდა გამოცვალოს არა სისტემა, არამედ კანონის აღმასრულებელი პირებიო. აი ასე იცავენ თავისუფლებას ეს სიტყვებით გმირი ვაჟბატონები. და აი დღეს ისინი ცდილობენ გორემიკინ-სებიშინსკის მემკვიდრეები შეიქნენ, ცდილობენ დიდი რევოლიუციის მიერ წელში გატეხილი და სრულიად დაუძლურებული მთავრობა ხელში ჩაიგდონ და ისევ ძველებურათ გაამაგრონ. გორემიკინ სტიშინსკის მთავრობის გამაგრება დღეს აღარ შეიძლება, მაგრამ ძალა ხელში იგდეს მურომცევ-როდიჩევ-პეტრუნკევიჩებმა, ისინი ეცდებიან მთავრობა გაამაგრონ, მტკიცე ორგანიზაცია შექნან, და ამიტომ მათ წინააღმდეგ ბრძოლა უფრო საძნელო შეიქნება, ვინემ დღევანდელი სამინისტროს წინააღმდეგ. „მომავალი მთავრობა ეს თქვენი (ე. ი. კადეტების) მთავრობაო—ასე უპასუხა ამხ. ჟორდანიამ კადეტების ორატორებს. იგი უფრო ძლიერი, უფრო მწყობილი იქნება, იმასთან ბრძოლა უფრო გასაჭირი იქნება, ამიტომ ჩვენ არ გვინდა ამ ახალ მთავრობას ისეთი უფლებები მივცეთ, რომ იმან ეს უფლებები ჩვენ წინააღმდეგ გამოიყენოსო“. ჩვენ სავსებით ვეთანხმებით ამხ. ჟორდანიას სიტყვებს და დავსძენთ მხოლოთ იმას, ასეთ სამინისტროს მოთხოვას ჩვენ არა შემთხვევაში მხარი არ უნდა დავუჭიროთ.

### პეტერბურგის მუშათა დეპუტატების საბჭოს საქმის გარჩევა

ვინ არ იცის, თუ რა იყო და რა როლი ითამაშა პეტერბურგის მუშების დეპუტატების საბჭომ რუსეთის რევოლიუციაში. ვინ არ იცის, თუ რა თავზარდამცემი იყო მისი მოვლინება გახრწნილ მთავრობის დამქაშებისთვის! მუშების საბჭო იყო რევოლიუციის ღვიძლი შვილი, თვის ძლევამოსილ მოძრაობის დროს მან წარმოშობა იგი, როგორც გამომხატველი იმ პრინციპების, რომლებიც რევოლიუციამ უნდა განახორციელოს. პეტერბურგის საბჭო, და მისი მსგავსათ სხვა ქალაქებშიაც დაარსებული საბჭოები, რევოლიუციის ორგანო იყო, თვით რევოლიუციის მიერ შექმნილი; იგი იშვა რევოლიუციის საშოდან, იგი არ მოვლინებია პროლეტარიატს მაღლიდან, როგორც სახელმწიფო დუმა, ბევრს ეგონა და დღესაც გონიათ, რომ მუშების დეპუტატების საბჭო ერთი მუჭა ხალხის „ბუნტოვჩიკების“ საქმე იყო ეს სასტიკი შეცდომაა. საბჭო რამდენიმე ასი ათასი მუშის სურვილის გამომხატველი და აღმასრულებელი ორგანო იყო, იგი ნამდვილი დროებითი რევოლიუციონური მთავრობა იყო, მხოლოთ ვიწრო ფარგალში. თუ რომ კონტრ-რევოლიუციის დროებით რევოლიუცია არ დაემსხურებია, ეს საბჭო გარდაიქნებოდა მთელი რუსეთის დროებით რევოლიუციურ მთავრობათ, რომელიც საბოლოოთ ძირს დასცემდა არსებულ წესწყობილებას და მოიწვევდა დამფუძნებელ კრებას. ეს ასეც მოხდება რევოლიუციის მომავალ მსვლელობაში. როგორც ვთქვით, პირველი ცდა დამარცხებით გათავდა. მუშების დეპუტატების საბჭო 120 კაცამდე დატყვევებულ იქნა და შემდეგ სამართალშიაც მისცეს. 20 ივნისს პეტერბურგის სამოსამართლო პალატაში დანიშნული იყო ხსენებულ საბჭოს წევრების საქმის გარჩევა. მუშათა დეპუტატების საბჭოს მოვლინება ამ სასამართლოს მოსპობას ნიშნავდა და აი დღეს ამ სასამართლოს წარმომადგენლები იმის მსაჯულებათ გამოდიან. პეტერბურგის მუშათა საბჭოს საქმე არ არის რამდენიმე კაცის საქმე და ის ბრალდებაც, რომელსაც მის წევრებს ახვევენ თავზე, არ არის მისი „დანაშაული“, ეს დანაშაული რუსეთის ხალხის იმ ნაწილის დანაშაულია, რომელიც დღეს თავისუფლებისათვის იბრძვის. ასე უყურებს ამას მთელი რუსეთის შეგნებული პროლეტარიატი, ასე უყურებენ ამას თვით საბჭოს წევრები. აი რა განაცხადა ერთმა იმათგანმა (ბრონშტეინ-ტროცკიმ) საზოგადოების და მსაჯულების საყურადღებოთ: „ჩვენ ჩვენი ამხანაგების პირით ვაცხადებთ და ვთხოულობთ, რათა ჩვენი განცხადება შეტანილ იქნას ოქმში, რომ ჩვენ გადავწყვიტეთ მონაწილეობა მიგვეღო დღევანდელ განსაკუთრებულ პროცესში მხოლოთ იმიტომ, რომ ამას საჭიროთ ვთვლით პოლიტიკური მიზნისთვის, რათა მუშათა დეპუტატების საბჭოს მოქმედება და მნიშვნელობა უფრო კარგათ გამოირკვესო“. აქედან აშკარათ ჩანს, საბჭოს წევრებს მხოლოთ იმ საქმის იმედი აქვთ, რომელსაც ასე ემსახურებოდენ, როგორც რეაქციის მძვინვარების, ისე ხანმოკლე ოქტომბრის თავისუფლების დროს. „სალამი ამხანაგებს, მოუჩქარეთ რევოლიუციასო“!—აი რა დაბარეს იმათ თავის ნათესავებს და ნაცნობებს.

საქმის გარჩევა სასამართლოში გადაიდვა.

## ახალი ამბები

ოთხშაბათს, 26 ივნისს. **მოჰკლეს** კავკასიის რკ. გზის „ტიაგის“ ნაწილის უფროსი ინჟინერი ლ. ი. ვარტენბერგი. მკვლელობა ასე მომხდარა: ნაშუადღევის 4 საათზე უფროსი პირდაპირ სახლში მიდიოდა; როდესაც კიროჩნისა და ალექსანდროვის ქუჩების კუთხეში მისულა, ორს უცნობს მისთვის 7—8 ჯერ რევოლვერი უსვრიათ, რის შემდეგაც ვარტენბერგი იქვე უსულოთ დაცემულა. მკვლელები მიმალულან. ნახევარი საათის შემდეგ იქ, სადაც ეს ამბავი მოხდა, პატრულები მისულან, დაუკეტნიათ ახლო-მახლო დუქნები და 4 კაცი ეჭვით შეუპყრიათ.

## ფელეტონი

### ანარხიზმი თუ სოციალიზმი?*)

### II

### დიალექტიური მატერიალიზმი.

> „ადამიანების შეგნება კი არ განსაზღვრავს მათს საზოგადოებრივ მდგომარეობას, არამედ მათი საზოგადოებრივი მდგომარეობა განსაზღვრავს მათს შეგნებას“ კ. მარქსი.

რა არის მატერიალისტური ტეორია?

ყველაფერი იცვლება ქვეყანაზე, ყველაფერი მოძრაობს მსოფლიოში, მაგრამ რანაირათ ხდება ეს ცვლილება და რა სახით წარმოებს ეს მოძრაობა — აი რაშია კითხვა. ჩვენ ვიცით, მაგალითათ, რომ ერთხელ დედამიწა ანთებულ ცეცხლს წარმოადგენდა, შემდეგ ნელნელა გაცივდა, მერე ცხოველები დაიბადა და ასე, ცხოველების განვითარებას მოჰყვა მაიმუნთა გვარეულობა, რომელმაც შემდეგ ადამიანები წარმოშობა. მაგრამ რანაირათ ხდებოდა ეს განვითარება? ზოგნი ამბობენ, რომ ბუნებას და მის განვითარებას წინ უსწრებდა მსოფლიო იდეია, რომელიც შემდეგ საფუძვლათ დაედო ამ განვითარებას, ასე რომ ბუნების მოვლენათა მიმდინარეობა ცარიელი ფორმა ყოფილა იდეის განვითარებისა. ამათ იდეალისტებს ეძახდნენ. რომლებიც შემდეგ რამდენიმე მიმართულებათ გაიყვნენ. ზოგნი კიდევ ამბობენ, რომ ქვეყანაზე თავითვე არსებობს ორი ერთმანეთის მოწინააღმდეგე ძალა—იდეია და მატერია, რომ თანახმათ ამისა, მოვლენები ორ წყებათ იყოფა—იდეალურათ და მატერიალურათ, რომელთა შორისაც მუდმივი ბრძოლაა გამართული: ასე რომ ბუნების მოვლენათა განვითარება — ეს მუდმივი ბრძოლა ყოფილა იდეალურ და მატერიალურ მოვლენათა შორის. ამათ დუალისტებს ეძახიან, რომლებიც იდეალისტებივით სხვა-და-სხვა მიმართულებათ იყოფიან. მარქსის მატერიალისტური ტეორია ძირიანათ უარჰყოფს როგორც დუალიზმს, ისე იდეალიზმს. თქმა არ უნდა, რომ ქვეყანაზე ნამდვილათ არსებობს იდეალური და მატერიალური მოვლენები, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ვითომ ისინი უარჰყოფენ ერთმანეთს. პირიქით—იდეალური და მატერიალური მოვლენები ორი სხვა-და-სხვანაირი ფორმაა ერთი და იგივე მოვლენის, ისინი ერთათ არსებობენ და ერთათ ვითარდებიან, მათ შორის მჭიდრო კავშირია გამართული. მაშასადამე, არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ისინი ერთმანეთს უარჰყოფენ. ამგვარათ ეგრეთ წოდებული დუალიზმი ძირიანათ ირღვევა. ერთი და განუყოფელი ბუნება ორ სხვა-და-სხვანაირ ფორმაში გამოხატული, იდეალურში და მატერიალურში,—აი, როგორ უნდა უყურებდეთ ბუნების განვითარებას. ერთი და განუყოფელი ცხოვრება ორ სხვა-და-სხვანაირ ფორმაში გამოთქმული, იდეალურში და მატერიალურში,—აი როგორ უნდა უყურებდეთ ცხოვრების განვითარებას.

ასეთია მონიზმი მარქსის მატერიალისტური ტეორიისა.

ამავე დროს მარქსი უარჰყოფს იდეალიზმსაც. მართალი არ არის ის აზრი, რომ ვითომ იდეია და საერთოთ სულიერი მხარე თავის განვითარებაში წინ უსწრებს ბუნებას და საერთოთ მატერიალურ მხარეს. ჯერ ცოცხალი არსებანი არც-კი სუფევდნენ ქვეყანაზე, რომ უკვე არსებობდა ეგრეთ წოდებული გარეშე არაორგანიული ბუნება. პირველ ცოცხალ არსებას — პროტოპლაზმას — არავითარი შეგნება (იდეა) არ მოეპოვებოდა, მას მხოლოთ განძვინება შეეძლო და ოდნავათ ახლდა ცნობიერების პირველი ელემენტები. შემდეგ თანდათან ვითარდებოდა ცხოველებში ცნობიერება და ნელნელა შეგნებაზე გადადიოდა, მიხედვით იმისა თუ რამდენათ ვითარდებოდა მათი ნერვების სისტემა. მაიმუნი რომ წელში არ გამართულიყო, ის რომ მუდამ ოთხფეხზე ყოფილიყო,—მისი ჩამომავალი ადამიანი თავისუფლათ ვეღარ ისარგებლებდა თავისი ფილტვებით და, ყელის ძაფებით და ამგვარათ, ლაპარაკს ვეღარ შესძლებდა, რაც ძირიანათ შეაფერხებდა მისი შეგნების განვითარებას; ან კიდევ, მაიმუნი რომ ფეხზე არ დამდგარიყო,—მისი ჩამომავალი ადამიანი იძულებული იქნებოდა მუდამ ძირს ეცქირნა და იქიდან ეკრიფნა შთაბეჭდილებანი, მას შეძლება არ ექნებოდა, მაღლა და გარშემო მიმოეხედნა, მას შეძლება არ ექნებოდა, მაშასადამე, მაიმუნზე მეტი მატერიალი (შთაბეჭდილებანი) მიეწოდებინა ტვინისთვის, და ამგვარათ, ძირიანათ შეფერხდებოდა მისი შეგნების საქმე. გამოდის, რომ თითონ სულიერი მხარის განვითარებისთვის საჭირო ყოფილა ორგანიზმის ასეთი თუ ისეთი აგებულება და მისი ნერვების სისტემის განვითარება. გამოდის, რომ სულიერი მხარის განვითარებას, იდეის განვითარებას წინ უსწრებს მატერიალური მხარის, მდგომარეობა (Бытіе) განვითარება. ცხადია, ჯერ გარეშე პირობები იცვლება, ჯერ მატერია იცვლება და შემდეგ შესაფერისათ იცვლება შეგნება და სხვა სულიერი მხარე—მატერიალური პირობების განვითარებას უკან რჩება იდეალური მხარის განვითარება. თუ მატერიალურ მხარეს, თუ გარეშე პირობებს, თუ მდგომარეობას და სხვა იმისთანეებს შინაარსს დავარქმევთ, მაშინ იდეალურ მხარეს, შეგნებას და სხვა ამგვარ მოვლენებს ფორმა უნდა დავარქვათ. აქედან წარმოსდგება ცნობილი მატერიალისტური თქმულება: განვითარების პროცესში შინაარსი წინუსწრებს ფორმას, ფორმა უკანა რჩება შინაარსსო. ესევე უნდა ითქვას საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. აქაც მატერიალური განვითარება წინ უსწრებს იდეალურ განვითარებას, აქაც ფორმა უკან რჩება თავის შინაარს. მეცნიერული სოციალიზმის ჯერ ხსენებაც არსად იყო, რომ კაპიტალიზმი და კლასთა ბრძოლა გაძლიერებულათ წარმოებდა, ჯერ სოციალისტური იდეია არსად სჩანდა, რომ წარმოების პროცესს უკვე მიღებული ჰქონდა სოციალისტური სახე.

ამიტომ ამბობს მარქსი: „ადამიანების შეგნება კი არ განსაზღვრავს მათ საზოგადოებრივ არსებობას, არამედ მათი საზოგადოებრივი არსებობა განსაზღვრავს მათს შეგნებას“ (იხ. „პოლიტ. ეკონ. გამო“ კ. მარქსი). და რადგანაც მარქსის აზრით ეკონომიური განვითარება ცხოვრების „მატერიალური საფუძველია“, მისი შინაარსია, და იურიდიულ-პოლიტიკური და რელიგიოზიურ-ფილოსოფიური განვითარება კი ამ შინაარსის „იდეოლოგიური ფორმაა“ და მისი „ზედნაშენი“,—ამიტომ მარქსი ამბობს, რომ „ეკონომიური საფუძვლის შეცვლასთან ერთათ ადრე თუ გვიან იცვლება მთელი ზედნაშენიცო“. (იხ. იქვე).

დიახ, ცხოვრებაშიაც ჯერ გარეშე მატერიალური პირობები იცვლება და

*) იხ. № 4.

✦ 26 ივნის, 9 ს. ნახევარზე ვაგზ-ლის ქუჩ. რევოლვერით **დასჭრეს** ჟან-დარმთა უნტერ-ოფიცერი პეტრენკო. შსროლელნი მიიმალნენ. დაჭრილი პეტ-რენკო რკ. გზის ლაზარეთში წაიყვანეს.

✦ გაზ. „ვსტან სპიაშჩის" ძლიერ ,უ-შფოთებია ბიუროკრატიზმის ბუდე—სი-ნოდიც. ადგილობრივ სასულიერო მთა-ვრობას შეკითხვა-მოსვლია: ვისი ნება-რთვით გამოდიოდა ეს რევოლიუციონუ-რი გაზეთიო. ეპისკოპოსს პეტრეს უპა-სუხნია, რომ რამოდენჯერმე მოვიწვიე რედაქტორი ბრიხნიჩევი, რათა დარიგება მიმეცა მისთვის თავი დაენებებია რევო-ლიუციური აზრების ქადაგებისთვის, მა-გრამ ყურს არ ათხოვებდა ჩემს დარიგებასო. ბოლოს მღვდელ-მოქმედება უნდა ამეკრ-ძალა მისთვის, მაგრამ მთავრობამ დამას-წრო და დააპატიმრაო.

✦ ხმოსანს ო. მ. დოლგორუკოვს თფ. ქალაქის საბჭოში შეუტანია მოხსენება, სადაც აღნიშნავს სხვათა შორის თფილი-სის გენერალ-გუბერნატორის მიერ ჩადე-ნილ **ძალმომრეობას** გაზეთების შესახებ, აღნიშნავს სხვათა შორის, რომ უკანას-კნელ დროში მას დაუხურავს 37 გაზეთი და სამი სტამბა და მოუწოდებს ქალაქის საბჭოს ხმა აღიმაღლოს ასეთი უკანონო-ბისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ.

✦ ჩვენ გვატყობინებენ, რომ ნამეს-ტნიკისათვის გორიდან საჩივარი გამოუ-გზავნიათ მაზრის უფროს ლევონტიევზე. **მაზრის უფროსს** ბრალს სდებენ უკანო-ნოთ ჯარიმებს კრებდა და სამაგიეროთ კვიტანციასაც არ იძლეოდაო. ნამესტნიკს სთხოვენ საქმე გამოიძიოს და ფულები თავიანთ პატრონთ დაუბრუნონ.

✦ გორის მაზრის ს. **უჯარმიდან** გვა-ტყობინებენ, რომ 16 ბოროტ განმზრახ-ველთ სოციალდემოკრატების სახელით თავს დასხმია ადგილობრივ მცხოვრებ კურტიშვილს და წაურთმევია 64 მანე-თი; მეორე დღის სოფლის ყრილობას გამოურკვევია, რომ ბოროტ განზრახველ-ნი ნამდვილი ყაჩაღები ყოფილან და 6 მათგანი დაუპატიმრებიათ კიდეც.

✦ გუშინ მოხსენებული გვქონდა, რომ თბილისის გენერალ-გუბერნატორმა დაა-ჯარიმა მთელი თბილისის ვაჭრები 22 ივ-ნის გაფიცვისა გამო. ჯარიმა რამოდენიმე ასი ათას მანეთს უდრის. **ვაჭრებს დღეს კრება აქვთ** ამის შესახებ და საერთოთ ყველანი იმ აზრს ადგანან, რომ არა თუ ერთი კაპეიკიც არ გადაიხადონ, პირ-იქით პროტესტიც განაცხადონ ასეთი ძალმომრეობის წინააღმდეგ და მოითხოვონ გენერალ-გუბერნატორის გადაყენება. ხო-ლო თუ ვინიცობაა, პროტესტს უყურა-დღებოთ დასტოვებენ, მაშინ გამოაცხა-დონ საერთო გაფიცვა.

✦ ქართლ კახეთის სამღვდელოების რწმუ-ნებულთა კრებამ წარსულ კვირას განიხილა სა კითხი სასულიერო სკოლების რეორგანიზაციის შესახებ, კრებამ საჭიროთ სცნო ყველა სასული-ერო დაბალ და საშუალო სკოლების რეორგანი-ზაცია თანამედროვე ცხოვრების პირობის მიხედ-ვით და საკითხის დაწვრილებით შესამუშავებლათ აირჩია კომისია მღვდლებისა და მასწავლებლები-საგან.

# რუსეთი

**ჯარი და რევოლიუცია.** პეტერბურგში ობუხოვის ქარხანაში მუშებმა მიტინგი გამართეს- მიტინგს თავს დაესხა ჯარი. ოფიცერმა გააფრთხილა მუშები. დაიშა-ლენით, თორემ გესვრითო. მუშებმა ყურ დღება არ მიაქციეს აფიცრის გა-ფრთხილებას. მაშინ აფიცერი სალდათებს მიუბრუნდა და უბრძანა, ესროლეთო. სალდათებმა უარი განაცხადეს.

— ჯარის მღელვარებამ მეტათ დააფრ-თხო მთავრობა. ახლა სამხედრო სამინისტ-როში გადაუწყვეტიათ სხვა და სხვა ად-გილებში დაბინავებული ჯარის ნაწილე-ბი გადაიყვან-გადმოიყვანონ. ეს მთელ რუ-სეთში უნდა მოხდეს, რადგან ჯარები ადგილობრივ მცხოვრებ ხალხს ეაუმეგო-ბრდენ და მათ წინააღმდეგ აღარ გად-ან საჭიროების დროს.

— ვიბორგის პოლკის სალდათებმა პირდაპირ განაცხადეს მთავრობის წინაშე, ჩვენ ხალხს თოფს აღარ ვესვრითო.

— სევასტოპოლში ქუჩაზე სალდათებმა და მატროსებმა მიტინგი გამართეს. მი-ტინგს 1000 კაცი დაესწრო. ამასთანავე მიტინგი გაიმართა სევასტოპოლის არე-მარეში. მიტინგს 400-ზე მეტი მატროსი დაესწრო. ორივე მიტინგებზე გადაწყვი-ტეს, მხარი დაუჭირონ სათათბიროს „მშრომელთა ჯგუფს". კავშნიან გემებზე ყოველ დღე მიტინგები იმართება ხოლმე.

**გაიფიცენ:** ტომსკში—დეპოს მუშები.

— რუტჩენოვსკის სამთო სამრეწველო საზოგადოებაში 4,200 მუშა.

— მოსკოვში ცინდელის მანუფაქტუ-რის 6,000 მუშა.

— ვესტინგაუზის ქარხანაში 600 მუშა.

— სიმონოვის რაიონში პატრონების ქარხნის მუშები.

— რიაზანის გუბერნიაში, ეგორიევის მანუფაქტურის 7,000 მუშა.

— კოლომნაში რემონტის სახელოს-ნოების მუშები.

**გლეხთა მოძრაობა მძვინვარებს**: დო-ნის-როსტოვის ახლო-მახლო.

— ატკარსკის მაზრაში.

— ბოგოროდიცკოეში.

— დანკოვსკის მაზრაში.

— სუჯის მაზრაში.

— სოფ. კორეევოეში.

— კონსტანტინოგრადის მაზრაში.

# მუშათა ცხოვრება

**შარაძის და ამხანაგ. სტამბ.** რო-გორც მკითხველებმა იციან ამ ერთ კვი-რეს წინ გაიფიცნენ ამ სტამბის ასოთ-ამ-წყობნი, რომელთა მოთხოვნილებაც გა-ზეთში უკვე იყო გამოცხადებული. (იხ „ლამპ". № 51) გუშინ 27 ივნისს დილით მივიდნენ სტამბაში მომუშავენი და ერთ ამხანაგთაგანს ლაპარაკი დაუწყეს, რომე-ლიც მხარს არ უჭერდა გაფიცულთ ისიდორე კერსელაძე, ამ დროს გამოვარდა სახლიდან პსიხოპატი სპ. ლოსაბერიძე და რამდენიმე ამხანაგს სადგისის წვერი დაჰკრა, ზოგს ხელზედ და ზოგს კი-დევ პირისახეზედ. აი ფაქტი ჩვენე-ბური პაწაწა წურბლების მოქმედე-ბისა. ამ გვარი ვაჟბატონები რეაქ-ციის გამწვავების დროს პოლიციის როლს ასრულებენ. მაგრამ მუდამ რეაქციის ფრთებს ვერ შეაფარებს თავს და ვაი მათი ბრალი ვინც დღეს დახავსებულ თვით-მპყრობელობის მფარველობის ქვეშ იმყო-ფება.

**ხკვინია.**

**ვაჭრებისაგან და ნოქრებისაგან მიღე-ბული სავალდებულო დადგენილებანი ქუთაისში:**

1

1) ნოქრებს მოესპოს ხაზეინებთან ბინა და სადილობა მაღაზიაში 2) ნოქრებს მიე-ცეს დილაობით ხაზეინებიდან ჩაი მაღაზია-ში, 3) მაღაზიები იღებოდეს დილის 8 სა-ათზედ და იკეტებოდეს სადამოს 6 საათზე, 4) სადილობის დრო ისაზღვრება 1½ სა-ათით მაღაზიის გარეშე, 5) ნოქრებს დაუ-რიგდეს ჯამაგირი თვეში ორჯელ 15-ს და 30-ს, 6) ავათმყოფობის დროს მიეცეს ნო-ქრებს ერთი თვის ჯამაგირი და ადგილი შე-ენახოს სამ თვეს, 7) ნოქრებს მიეცეს წე-ლიწადში 1 თვის თავისუფლება ჯამა-გირის შენახვით, მხოლოთ ეძლევა თავისუ-ფლება ერთდროულად არა უმეტეს 15 დღი-სა დანარჩენები კი ცალ-ცალკე დროთ გამო-შვებით, 8) ზრდილობიანი მოპყრობა ხაზე-

---

შემდეგ ადამიანების აზროვნება, მათი მსოფლიო მხედველობა — შინაარსის გან-ვითარება წინ უსწრებს ფორმის აღმოცე-ნებას და განვითარებას. რა თქმა უნდა, ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ვითომ მარქსის აზრით შინაარსს უფორ-მოთ შეეძლებოდეს, როგორც ეს შ გ—ს მოლანდებია (იხ. „ნობ." № 1. „მონი-ზმის კრიტიკა"). შინაარსი უფორმოთ შეუძლებელია, მაგრამ საქმე იმაშია ესა თუ ის ფორმა, რადგანაც ის უკანა რჩე-ბა თავის შინაარსს, არას დროს არ შეესაბამება სავსებით ამ შინაარს და, ამ-გვარათ, ხშირათ ახალი შინაარსი „იძუ-ლებულია" დროებით ძველ ფორმაში გამოეხვიოს, რაც კონფლიქტს იწვევს მათ შორის. დღეს მაგალითათ წარმოების საზოგადოებრივ შინაარსს არ შეესაბამება ნაწარმოებთა მითვისების კერძო ხასიათი და სწორეთ ამ ნიადაგზე წარმოებს დღევანდელი სოციალური „კონფლიქ-ტი". მეორე მხრივ, ის აზრი, რომ იდეია არსებობის ფორმაა, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, ვითომ შეგნება თავისი ბუნებით—ეს იგივე მატე-რიაა. ასე ფიქრობდნენ მხოლოთ ვულ-გარული მატერიალისტები (მაგ. ბუხნერი და მოლეშოტი), რომლებიც ძირიანათ ეწინააღმდეგებიან მარქსის მატერიალიზმს და რომლებსაც სამართლიანათ დასცი-ნოდა ენგელსი თავის „ფეიერბახში". მარქსის მატერიალიზმით შეგნება და მდგო-მარეობა, სული და მატერია—ეს ორი სხვა-და-სხვა ნაირი ფორმაა ერთი და იგივე მოვლენის, რომელსაც ბუნება ეწოდება —მაშასადამე ისინი არც უარჰყო-ფენ ერთმანეთს *) და არც ერთსა და იგივე მოვლენას წარმოადგე-ნენ, საქმე მხოლოთ იმაშია, რომ ბუნე-ბისა და ცხოვრების განვითარებაში შეგ-ნებას, ე. ი. მას, რაც ჩვენს თავში ხდე-ბა წინ უსწრებს შესაფერისი მატერია-ლური ცვლილება, ე. ი. ის, რაც ჩვენს გარეშე ხდება, ამა თუ იმ მატერიალურ ცვლილებას ადრე თუ გვიან აუცილებ-ლათ მისდევს შესაფერისი იდეალური ცვლილება და იმიტომ ვამბობთ, რომ იდეალური ცვლილება ფორმაა შესაფე-რისი მატერიალური ცვლილებისაო.

ასეთია საერთოთ მონისტური მატე-რიალიზმი მარქსისა და ენგელსის დია-ლექტიური მატერიალიზმისა.

კეთილი და პატიოსანი, გვეტყვიან ზოგიერთები, ეგ ყველაფერი მართალია, რაც შეეხება ბუნებისა და ცხოვრე-ბის ისტორიას. მაგრამ დღეს რანაი-რათ იბადება ჩვენს თავში სხვა-და-სხვა წარმოდგენები და იდეები ამა თუ იმ საგნებზე? ან და ნამდვილათ კი არ-სებობს ეგრეთ წოდებული გარეშე პირო-ბები, თუ მარტო ჩვენი წარმოდგენები არსებობს ამ რაღაც გარეში პირობებზე? და თუ გარეშე პირობებიც არსებობს, რამდენათ შესაძლებელია მათი შეგნება გამოცნობა?

ამის შესახებ ჩვენ ვამბობთ, რომ რამ-დენათაც არსებობს ჩვენი წარმოდგენები ჩვენი „მე", იმდენათ არსებობს გარეშე პირობები, რომლებიც ამ „მე"-ზე შთა-ბეჭდილებას ახდენენ ვინც ასე დაუფიქ-რებლათ ამბობენ, რომ ჩვენი წარმოდ-გენების მეტი არა არსებობსრაო. ისინი იძულებული არიან უარჰყონ ყოველ იგე გარეშე პირობები და მაშასადამე დანარ-ჩენი ადამიანებიც, გარდა თავისი „მე"-სი რაც ძირიანათ ეწინააღმდეგება მეცნიე-რების და ცხოვრებითი მოქმედების ძი-რითად საფუძვლებს. დიახ, გარეშე პი-რობები ნამდვილათ არსებობს, ეს პი-რობები არსებობდნენ ჩვენამდე და იარ-სებებენ ჩვენს შემდეგაც და მათი შეგ-ნება — გამოცნობა შესაძლებელია მით უფრო ჩქარა და ადვილათ, რაც უფ-რო ხშირათ და ძლიერათ მოქმედებენ ჩვენს შეგნებაზე. რაც შეეხება იმას, თუ როგორ იბადება დღეს ჩვენს თავში სხვა-და-სხვა წარმოდგენები და იდეები ამა თუ იმ საგნებზე: ამის შესახებ უნ-და შევამჩნიოთ, რომ აქ მოკლეთ იგი-ვე მეორდება, რაც ბუნებისა და ცხო-ვრების ისტორიაში ხდება, — აქაც გა-რეშე მყოფი საგანი წინ უსწრებს ჩვენს წარმოდგენას ამ საგანზე, აქაც ჩვენი წა-რმოდგენა, ფორმა, უკანა რჩება საგანს თავის შინაარსს და სხვ. თუ მე ვუყურებ ხეს და ვხედავ მას, ეს მხოლოთ იმასა ნიშნავს, რომ სანამ ჩემს თავში წარმოდგენა დაიბადებოდა ხის შე-სახებ, ამაზე წინ არსებობდა თითონვე, რომელმაც შესაფერისი წარმოდგენა გა-მოიწვია ჩემში. ძნელი გასაგები არაა, თუ რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მარქს-ენგელსის მონისტიურ მატერია-ლიზმს ადამიანების პრაქტიკული მოღვა-წეობისთვის; თუ ჩვენი აზროვნება და ზნე-ჩვეულება გარეშე პირობებისგანაა გა-მოწვეული, თუ იურიდიული და პოლი-ტიკური ფორმების უვარგისობა ეკონო-ნომიურ შინაარსზეა დამყარებული,— ცხადია, ხელი უნდა შეუწყოთ, ეკონო-მიური ურთიერთობის ძირიანათ გარდა-ჰქმნას, რომ მასთან ერთათ ძირიანათ შე-იცვალოს ხალხის ზნეჩვეულებანი და ქვეყნის პოლიტიკური წესები. აი რას ამბობს ამაზე კ. მარქსი. „დიდი ჭკუა არ უნდა იმის გაგებას, თუ რა... კავშირი არსებობს... მატერიალიზმსა და... სოცი-ალიზმს შორის. თუ ადამიანი გარეშე პირობებიდგან იღებს თავის ცოდნასა და სულისკვეთებას... ცხადია ისე უნდა მო-აწყო ეს გარეშე პირობები, რომ კაცმა რიგიანი შთაბეჭდილებანი ამოიტანოს იქი-დან და შეეჩვიოს ნამდვილ ადამიანურ ურთიერთობას... თუ ადამიანის თავის-უფლება იმაში შესდგება, რომ მას შე-ძლება უნდა ჰქონდეს აშკარათ გამოხა-ტოს თავისი პირადი თვისებანი, ცხა-დია, ცალკე კი არ უნდა სჯიდეთ პი-რებს მათი დანაშაულობისთვის, არამედ უნდა სპობდეთ იმ ანტისაზოგადოებრივ პირობებს, საიდანაც ეს დანაშაულობანი იბადება... თუ ადამიანის ხასიათს გარე-მოება ჰქმნის, ცხადია ეს გარემოება უნდა შესცვალოთ" და სხვა (იხ. „ფეიერბახი" 88 გვ.)

ასეთია კავშირი მატერიალიზმსა და პრაქტიკულ მოღვაწეობის შორის.

როგორ უყურებენ ანარხისტები მონი-სტიურ მატერიალიზმს?

**კობა**

*) ეს სრულიადაც არ ეწინააღმდეგება იმ აზრს, რომ ფორმასა და შინაარსს შორის კონფლიქტი არსებობს. სადმე იმაშია, რომ ეს კონფლიქტი საერთოთ შინაარსსა და ფორმას შორის კი არ არსებობს, არამედ ძველ ფორმასა და ახალ შინაარსს შორის, რომელიც ახალ ფორმას ეძებს და მას ელტვის. **კ.**

...ებიდგან, 9) მოსამსახურეების დათხოვნა ...ითხებოდეს ორავე მხარეს, უთანხმოების ...რის დანიშნოს სამედიატორო სამართა..., 10) მაღაზიების გარეთ ... არ ...ადებოდეს საქონლის გაყიდვა (ქ. ი. ... ...ცაში) 11) გაფიცვისათვის ნოქრებს არ ...ენ დათხოვნილი და ჯამაგირი ეძლეოდეს 12) ნოქრებს აეკრძალოთ მუშტრების ძ...ა და ძახილი, 13) მოიწყოს ყოველი გვა... სადარაჯო მაღაზიაში.

2

1) შეგირდები რომელსაც უმსახურიათ ...რი წელიწადი, დაენიშნოს წელიწადში ჯა...გირი თითმოცი 80 მანეთი.

2) დღემდის მიღ. შეგირდებს რომელთაც არ ...უსრულებიათ ორი წელიწადი, მიეცეს სას...ლ-სასმელი და ჰიგიენურათ მოწყობილი ...ნა, რომლებსაც შე მოწმებს ნოქრებისაგან ...რჩეული კომისია, აგრეთვე მიეცეს აბანო ...ა დაღაქი თვეში ერთხელ; საცვლები სამა...ვალი და ორ ორი წყვილი ტანისამოსი ზა...ფხულისა და ზამთრის, 3) შეგირდების არა ...მალაზიო საქმის კეთება აკრძალულია ...ში), 4) შეგირდებას ტვირთი ისაზღ...რებოდეს ნახევარი ფუთით ღროგის დაცლ...ა დატვირთვაც, აგრეთვე მძიმე ცალების ...კვრა აღკრძალულია, 5) შეგირდების მიღე...ა არ შეიძლებოდეს არა ნაკლებ 14 ...ლისა, 6) დღემდის მიღებული შეგირდები მსახურებს ერთ წელიწადს და ამ ...დის განმავლობაში თანასმათ მეორე პუნქ...ისა, ეძლეოდეს დამატებით თვეში ერთი ...ნეთი, 7) შეგირდები ავადმყოფობის დროს ...ნდა მოთავსდენ საავადმყოფოში, ერთი ...თ საზიენის ხარჯზე!

---

**კარეტნიკების მუშათა ქარხნები.** დღეს არც ...ერთი ქარხანა აღარ მოიპოვება ...რდა კარეტნიკების ქარხნებისა, საცა კი მუშებს თავიანთ ...ონომიურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ ...ი მოეთხოვოთ. სამუშაო ქირის მომატება, სამუშაო დღის შემცირება, და ჰიგიენური პირობების გაუმჯობესება. მუშებმა თითქმის ყველგან ... საათის სამუშაო შემოაღებიეს ხაზეინებს და კარეტნიკები კი დღესაც, დაწყებული დილის 6 საათიდამ, საღამოს 6 საათამდე, 12 საათს მუ...ობენ. მაგრამ წვრილ-ფეხა კარეტნიკები— ხაზეინები, დადებულ სამუშაო დღით მაინც არ ...აყოფილდებიან და ხშირად საღამოს ექვსი საათიდამ ღამის თერთმეტ და თორმეტ საათამდე ...უშავებენ თავის ქარგლებს, უფრო კი უ უსურ...ვშვებს—შეგირდებს, რომელნიც მონათ და ...ებათ გაუხდიათ, ქარხანაში მუშაობის გარდა ...ხლშიაც იმ ახურებენ ხელზედ და ამის გარდა ...მა-ტყეპასაც არ აკლებენ, ალბათ ზედ-მეტ ...უშაოში. ყველაზედ აუტანელ პირობებში ეს ...ავშვები-შეგირდები არიან. ისინი ოთხი და ხუ...ი წელიწადი თითქმის მუქთათ ემსახურებიან ...ზეინებს და შემდეგ ვადის გასვლისას ხაზეინები ...ინც უსირცხვილოდ აძევებენ ქარხნიდამ: „ახლა, ...ცა გინდა იქ იშოვნე სამუშაო-ო“ რა ქნას ...ეთ პირობებში მუშამ, ვის მიადგეს კარზედ სა...უშაოდ დამიჰირეო, ვინ იცნობს მას, გარდა ...ავის ყოფილი ხაზეინისა! ხაზეინიც ხედავს რა ...ჭირებულს, ფეხს აჭერს და ხელახლად სულ ...იოე ხელფასად იჭერს თავისივე ნაშეგირდალს, ...ომ რაც შეგირდობისას დაიკლო, ახლა აინა...ზაუროს

არც ქარგლები არიან კარგ ყოფაში. ქარხა...ში შესვლის დროს, რაც უნდა ნაცნობი და ...ოცდილი ხელოსანი იყოს, მაინც საჭიროა ...ობი მისცეს, რომლის მოწონება. ან დაწუნე...ა მთლად ხაზეინის გუნებაზეა დამოკიდებული. ...მდეგ ასე წინასწარ გამოცდისა, მან ექვსი თვე ...ნდა ამუშაოს, რომ ხაზეინის—წყალობა და...მსახუროს და სამუდამოდ დარჩეს ქარხანაში. ...ელია ქარხანაში შესვლა, მაგრამ უფრო ძნელია ...იგ ფეხის მომაგრება, რადგან ყველა მომუშავე ...ღიურ ხელფასზედ არის და დღიურ მომუშავეს ...ზეინი, როცა მოინდომებს, მაშინ დაითხოვს. ...ე რას იღებს ხელფას? სულ ცოტას. დიდი ...წილი, გარდა რამოდენიმე ხელოსნის, რომელ...იც დღეში ორ მანეთამდე იღებენ სამს და ოთხ...აზს, ისიც ათასი ჯარიმის გამოკლებით, ძლივს ...ბულობენ თორმეტი საათის სამუშაო დღეში. ...მ შაობა მუდმივი არ არის. ზამთარში ნაკლუ...ა დ ხან ისიც არაა. ამიტომ დიდი ნაწილი კარეტნიკებისა რამოდენიმე თვით უსაქმოდ რჩება. ხაზეინები, როცა მეტი სამუშაო არის, მუშებს ძალას ატანენ. საქონელს ზაფხულში ამზადებენ, ამიტომ ნაჭრობითაც აძლევენ გარეთ დარჩენილ მუშა-კარეტნიკებს და ზამთარში კი ხელ-ცარიელს სტოვებენ ქარხანაში მომუშავეთ.

ამ ბოლო დროს კარეტნიკებმაც შეიგნეს თავიანთი ცხოვრების აუტანელი პირობები, ისინი ადგენენ პროფესიონალურ კავშირს და სულმოკლე ხანში ხაზეინებს მოთხოვნილებასაც წარუდგენენ. ხაზეინები ამას კარგათ გრძნობენ და ათასგვარ მუქარას უთვლიან თავიანთ მუშებს, მაგრამ ამაოთ, ველარას გახდებიან.

—ს.

---

# პარტიის ცხოვრება

პეტერბურგი სოც.-დემ. ორგანიზაციათა კონფერენციაზე, როგორც გუშინ ვწერდით, მეუმრავლესეთა ტაქტიკამ გაიმარჯვა. კონფერენციას 75 დელეგატი დაესწრო. უმთავრეს განსახილველ საგანს შეადგენდა ცენტრ. კომ. და პ. კ. რეზოლიუციები. პირველი, როგორც ვიცით, მეუმცირესეთა მიერ იყო წამოყენებული, ხოლო მეორე მეუმრავლესეთაგან. ც. კ. თავის რეზოლიუციაში მხარს უჭერდა კადეტთა სამინისტროს ვაყვანას, მეუმრავლესეები კი ამის წინააღმდეგი იყვნენ. კონფერენცია ორი დღე გაგრძელდა და შემდეგი რეზოლიუცია მიიღო.

„მიიღო რა მხედველობაში: 1) რომ პეტერბურგის კომ—ის ორივე რეზოლიუცია სათათბიროს და პასუხისმგებელ სამინისტროს შესახებ - სწორეთ არკვევს სადღესო ტაქტიკას სათათბიროს მიმართ, აგრეთვე პარტიის უახლოეს მიზნებსაც შემაერთებელ სიეზდის გადაწყვეტილებას თანახმათ აყენებს, 2) რომ პეტერბურგის კომიტეტს ამ საკითხებში თანხმობა გამოუცხადა მოსკოვის საოლქო კონფერენციამ, პოლონეთის ს.-დემოკრატიის სიეზდმა (ესენი ჩვენი პარტიული ამხანაგებია), აგრეთვე პროვინციის ბევრმა ორგანიზაციებმაც, 3) რომ ამ ორივე რეზოლიუციების საფუძველთა თანახმათ ს-პეტერბურგის ს. დ. ორგანიზაციებმა უახლოეს მოქმედების გეგმა უნდა შეიმუშაონ,—კონფერენციამ დაადგინა:

1) დამტკიცებულ იქნას ორივე ზემოხსენებული რეზოლიუციები. 2) მოწყობილ იქნას დაუყონებლივ პარლამენტის ს. დ. ფრაქციის და პეტერბურგის პროლეტარიატის წარმომადგენელთა თათბირი, 3) მიღებულ იქნას ზომები, რომ ასეთივე თათბირი გაიმართოს ხოლმე ფაბრიკების და ქარხნების მუშათა წარმომადგენლებთან ერთად, რათა გაძლიერდეს სოციალდემოკრატიის გავლენა მასსაზე და პროლეტარიატის გავლენა სათათბიროზე.

---

# დეპეშები

(„პეტერბურგის სააგენტოსაგან“)

26 ივნისი.

**ყაზანი.** ფოჩტის მატარებელმა მოსკოვიდან დაიგვიანა 8 საათით. მიზეზი მატარებლების შეტაკებაა. ორთქლმავალი კლდეზე გადავარდა, რამდენიმე ვაგონი დაიმსხვრა. ბევრი დაშავებულია.

**განჯა.** შუშის მაზრაში კაზაკებსა და სომხებს შორის შეტაკება მოხდა. გაკაწრულია პოლიციის ჩინოვნიკი, დაჭრილია ორი კაზაკი და ერთი გაკაწრულია,

**ზემლიანსკი.** სოფელ პერელიოვკაში გლეხებმა აიკლეს სახაზინო არაყის დუქანი. პრისტავის სახლის ფანჯრები ჩაამტვრიეს, სტრაჟნიკები და მოსამსახურეები გარეკეს. კაზაკებმა და სტრაჟნიკებმა ვერაფერი ვერ გააწყვეს. გლეხები ვერ შეაჩერეს, მოთავეები ვერ დაიჭირეს. დაჭრილი და მკვდარია რამდენიმე გლეხი.

**კოზლოვი.** „კოზლოვსკაია ჟიზნის“ რედაქტორი გადასახლეს ტამბოვის გუბერნიიდან. სტამბა, რომელშიაც გაზეთი იბეჭდებოდა, დაჰკეტეს.

**პეტერბურგი.** გუშინ პეტერბურგის სხვა-და-სხვა ადგილას გაიმართა პოლიტიკური მანიფესტაციები. წითელი დროშებით და რევოლიუციონური სიმღერებით. კავალერისტები მანიფესტანტებს არ სდევნიდნენ. ბაღ „ოლიმპიასთან“ მუშებს და კაზაკებს შორის შეტაკება მოხდა. ხალხმა პოლიციელებს ქვები ესროლა. კაზაკებმა ორჯერ ჰაერში ისროლეს. შეტაკების დროს რამდენიმე კაცი დაიჭრა.

**გროდნო.** ბრესტლიტოვსკში გაიფიცნენ ყველა სტამბების მუშები; ითხოვენ რვა საათის სამუშაო დღეს.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო სათათბირო. სხდომა 12 საათზე გაიხსნა. თავმჯდომარე დოლგრუკოვია. პეტრუნკევიჩი ამბობს, რომ „დუმის“ საზოგადო კრებები ისეთ დროს ხდება, რომ სხვა-და-სხვა კომისიები ვერ ასწრებენ მუშაობას; პეტრუნკევიჩი წინადადებას იძლევა სხდომები შუადღის 2 საათზე დაიწყოს და შეუჩერებლათ გაგრძელდეს 7 საათამდის; ოთხშაბათობით და შაბათობით უნდა იმუშაოს აგრარულმა კომისიამ; დანარჩენ დღეებში 2 საათამდის და 9 საათიდან სხვა კომისიები იმუშავებენ. შემდეგ ილაპარაკეს **გომ რთელმა, პონიატოვსკიმ** და **კუზმინ კარავაევმა.** სათათბირომ მიიღო პეტრუნკევიჩის წინადადება და შეუდგა კრებების კანონ-პროექტის კომისიის 11 წევრის არჩევას.

საოლქო კომისიის წინადადებით სუყველა კანონ-პროექტი მეორეჯერ წაკითხვის შემდეგ კომისიას გადაეცემა, შემდეგ მესამეჯერ წაკითხვის დროს გადაეცემა სათათბიროს საბოლოოთ მისაღებათ. კორსაკოვი 33-თა კომისიის სახელით მოხსენებას კითხულობს, პოლტავის გუბერნატორი ოგოროდნიკოვის უკანონო მოქმედებისა, გადასახლებულთა და რკინის გზ-ს დათხოვნილ მოსამსახურეთა შესახებ. შემდეგ რავდენიმე შეკითხვა მოახდინეს დატუსაღებულებზე. 2 საათზე და 15 მინუტზე სხდომა შეწყდა, რომელიც 3 საათზე და 15 მინუტზე განახლდა. პუსტოშკინი აფიცრების ჩვენებით ხელმძღვანელობს და იმავე დასკვნამდე მიდის, რომელიც ცეპკინმა, არაკანცევმა და იაკობსონმა გამოიყვანა. ბარ. როოპი მოჰყავს ახალი ფაქტები და ამტკიცებს რომ ბელოსტოკის დარბევა წინდაწინვე განზრახული და მისი ხანგრძლივობაც გამოანგარიშებული იყო. დარბევის მიზეზათ იმას სთვლის, რომ ებრაელები ცალკე არიან გამოყოფილი და შეკავშირებული და ამით „ჭეშმარიტ რუსებში“, პოლიც- და მხედრობ. უკმაყოფილებას იწვევენ. ორატორის აზრით ცენტრალური მთავრობა ყოველთვის ებრაელების დარბევის წინააღმდეგ არიან და მისი დანაშაული მხოლოთ იმაში მდგომარეობს, რომ ის დროზე ვერ სცემს შესაფერ განკარგულებებს დარბევის ჩასაქრობათ. უმაღლეს და დაბალ მთავრობას შორის ყოველგვარი კავშირი შეწყვეტილია; მხოლოთ ფართე ადგილობრივი თვითმართველობა უზრუნველჰყოფს მომავალში ხალხს დარბევისაგან (აპლოდისმენტები). ვინავერი პასუხს სცემს როოპს და ამბობს, რომ რუსეთში უკმაყოფილების გამოწვევა შეუძლია რევოლიუციონერების და ანარხისტების ორგანიზაცია და არა ებრაელების სპეციალურ კავშირებს; შემდეგ ორატორი არჩევს მთავრობის ცნობას ბელოსტოკის ხოცვა-ჟლეტის შესახებ. მთავრობამ თავისთავს სიკვდილის განაჩენი გამოუტანა მით, რომ საჯაროთ გამოაცხადა თავისი პოლიციური უუნარობა ბი რევოლიუციასთან ბრძოლაში. ბელოსტოკში ხოცვა-ჟლეტა კი არა, დარბევის მთელი ექსპედიცია იყო, რომელსაც მიზნათ რევოლიუციონერების დაშინება ჰქონდა მშვიდი მოქალაქეების დახოცვით ორატორი ფიქრობს, რომ ცენტრალური მთავრობაც პლევეს სიკვდილის შემდეგ ისე არეულ დარეულია, როგორც ადგილობრივი აგენტები. რუსეთის მთავრობა თავის ყოფა-ქცევით ძირს უთხრის თავის პოლიტიკურ ძლიერებას: ის სახელმწიფო ძალის შერჩენაზე კი არ ფიქრობს, არამედ მკვლელობის ბრბოთა შედგენაზე. თავის ცრუ მოხსენებებში მთავრობა ებრაელების ახალგაზრდობას, ამ თავგანწირულ, სანაქებო ახალგაზრდობას, ანარხისტობას სწამებს, მაგრამ ებრაელები გამოაშკარავებენ მთავრობის იმ ტყუილებს, რომლებიც მთავრობამ ამ ბოლო ხანში ჯარშიც გაავრცელა. მთავრობასთან ამგვარ ბრძოლაში ებრაელებს მთელი რუსეთის ხალხი მხარს დაუჭერს. (ოვაციები) ვინავერის შემდეგ ლაპარაკობს როდიჩევი თავის ცხარე სიტყვაში ორატორი საშინლათ ჰკიცხავს სამინისტრო ხელმძღვანელობას მხოლოდ ცრუ ცნობებით და რყვნის ჯარს. სალდათი შინაურ ბრძოლის დროს თავის სიცოცხლეს იღუპავს და ნამდვილ მტრებს კი ხელუხლებლათ სტოვებს. „დუმის“ სამინისტროსთან მოლაპარაკებამ არაფერი ნაყოფი არ გამოიღო. ნუთუ მინისტრებს არ ესმით საშინელი ქუხილის გრგვინვა და ვერ გრძნობენ, რომ მალე მეხი გავარდება და ყველაფერი დაიღუპება. თუ მაშინ მინისტრები თავს გაქცევით უშველიან გვ ან ლა იქნება. (აღტაცებული ტაშის კვრა ყოველი მხრიდან).

**სუდჟა.** გლეხების დეპუტატი სალომკო ჩამოვიდა პეტერბურგიდან და ორი საზოგადოების გლეხებთან საუბარი გამართა.

**ეკატერინოსლავი.** რკინის გზის დეპოსთან ორჯერ ესროლეს „ტიაგის“ უფროსს ფეოდოროვს და მძიმეთ დასჭრეს.

**პეტერბურგი.** პეტერბურგის ნოქართა კავშირმა დაადგინა 2 ივლისიდან შემოიღოს ყველა დარგის სავაჭროებში კვირა-უქმეებზე 24 სათი დასვენება.

**ვარშავა.** გუშინ ორმა ბოროტ-განზრახველმა მოჰკლეს სახლის პატრონი ფილვენშტეინი,—სოფ. „გოლია“-ში მოჰკლეს სტრაჟნიკი, მკვლელები მიიმალენ —გაზეთების ცნობით ვარშავაში მილიციას აარსებენ.—გაიფიცენ რესტორანების ლაქიები, რესტორანები დაკეტილია.

**ცარევო სანჩურსკი.** აქ არეულობა მოხდა.—გლეხებმა დაიტაცეს და დაანგრიეს საეროვო უფროსების და მართველების ქონება. ისპრავნიკმა და სტრაჟნიკებმა წესიერება აღადგინეს.

**ეკატირენოსლავი.** (ოფიციალური კორესპონდენტისაგან) 22 ივნისს რუდჩენკოვსკის ამხანაგობის, უსპენსკის მაღაროების მუშები და ბროსსეს ქარხნის მუშები შეიკრიბნენ მიტინგზე. მიტინგს არა მუშა ორატორი ხელმძღვანელობდა. მიუხედავათ პოლიციის ბრძანებისა ხალხი არ დაიშალა. გამოიწვიეს დრაგუნები, რომლებიც ხალხს გარს შემოერტყენ. ორატორი ორატორი დანებდა. ხალხი დაიშალა. შემდეგ მუშები გაეშურთენ ფრანგთა ამხანაგების მაღაროებისკენ და მრავალ რიცხოვან ხალხს მოუყარეს თავი. აუარება ხალხი გარს შემოერტყა პოლიციას და მოითხოვა ორატორის განთავისუფლება. როდესაც დაჭერილი თუზოვისკენ მიყავდათ, მუშებმა დარაჯებს ქვები დაუშინეს. ორატორი თავლაში შეიყვანეს. მუშები თავლის დაწვას დაემუქრნენ. მაშინ აფიცერმა ორატორი გაანთავისუფლა.

---

რედ.-გამომცემელი **ნ. ახმეტელაშვილი**

მსწრაფ-მბეჭდავი „ლამპარი“ სემენოვის ქუჩა № 4.